პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 5 ივნისი № 131 (16871) ფასი 2 კაპ. 1977

ჩვენ ახალი კონსტიტუციის განხილვას ვიწყებთ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით დაძაბულად მუშაობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. საქართველოთა-სახალხო განხილვა ხელს შეუწყობს ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებას. მან ხალხში უნდა გამოაღვიძოს ახალი შემოქმედებითი ძალები, მიანიჭოს სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი გაქანება, აამაღლოს თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მაისის პლენუმზე

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი უნდა განვიხილოთ. პოლიტბიუროს ყურადღებით შეისწავლა და პრინციპულად მოიწონა ეს დოკუმენტი. ვინაიდან პროექტს თქვენ ყველანი უკვე გაეცანით, შევეხები მხოლოდ ზოგიერთ საკვანძო, პრინციპულ საკითხს.

I

პირველი კითხვა: **რატომ გახდა საჭირო ახალი კონსტიტუციის შექმნა?**

იმიტომ, ამხანაგებო, რომ ოთხი ათწლეულის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, მთელს ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ცვლილებები მოხდა.

როცა 1936 წლის კონსტიტუცია მივიღეთ, ჩვენში არსებითად მხოლოდ სოციალიზმის საფუძვლების შექმნა იყო დამთავრებული. სულმთლად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი იყო საკოლმეურნეო წყობილება. სახალხო მეურნეობის ტექნიკური დონე ჯერ დიდად ჩამორჩებოდა ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების დონეს. ცხოვრების სხვადასხვა დარგს ჯერ კიდევ ეტყობოდა რევოლუციამდელი დროის მემკვიდრეობის გავლენა.

ახლა კი საბჭოთა კავშირში განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოებაა აშენებული. **დიდი, პრინციპული ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო.**

ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკა. მასში განუყოფლად ბატონობს სოციალისტური საკუთრება. ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი, ძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი, იგი სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეხამების საფუძველზე ვითარდება.

შეიცვალა საზოგადოების სოციალური იერსახეც.

ჩვენი დღევანდელი მუშათა კლასი — ეს არის ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი. ეს არის ათმილიონობით განათლებული, ტექნიკურად წიგნიერი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანი. მათი შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

შეიცვალა გლეხობაც. ახლანდელი კოლმეურნე დაიბადა და გაიზარდა კოლმეურნეობაში, მისი ფსიქოლოგია უკვე სოციალისტურ საფუძველზე ჩამოყალიბდა. იგი თანამედროვე ტექნიკას მართავს, მისი განათლების დონე, მისი ცხოვრების წესი კი ხშირად მცირედ თუ განსხვავდება ქალაქის მკვიდრთა დონისა და ცხოვრებისაგან.

ნამდვილად სახალხო, სოციალისტური გახდა ინტელიგენცია. ხალხის კულტურის დონის ამაღლებისა და კოლუნისტურ მშენებლობაში მეცნიერების როლის უმაგალითო ზრდის კვალობაზე მატულობს ინტელიგენციის ხვედრითი წონაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

ჩვენში არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურიც გახდა ერების თანასწორობა. ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, მათ შორის იმათაც, ვინც წინათ ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ჩამორჩებოდა, ახლა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს. ამავე დროს ყოველი რესპუბლიკის ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელ ნაწილად ვადაიქცა.

ყველა ამ ცვლილების საერთო მნიშვნელია საბჭოთა საზოგადოების მზარდი სოციალური ერთგვაროვნობა. კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, თანდათან ქრება განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის. სულ უფრო მეტად აახლოებს ერთმანეთთან ცხოვრების მიმდინარეობა ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

მომწიფებული სოციალიზმის აშენების, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მოსახლეობის ყველა ფენის გადასვლის შედეგად ჩვენი სახელმწიფოც, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურად წამოიშვა, საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ამ პროცესს ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია — ჩვენი საზოგადოების წარმმართველი, მაორგანიზებელი და მამობილიზებელი ძალა ოქტომბრის დროიდან დღემდე. კიდევ უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა ახლა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც მას უხდება. კიდევ უფრო პასუხსაგები გახდა მისი როლი, გაიზარდა ქვეყნის მთელ საშინაო ცხოვრებასა და მის საგარეო პოლიტიკაზე პარტიის წარმმართველი ზემოქმედების მასშტაბი.

დაბოლოს, ძლიერ შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაც, მსოფლიოს მთელი სოციალურ-პოლიტიკური იერსახე. ბოლო მოეღო სსრ კავშირის კაპიტალისტურ გარემოცვას. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა. შეიქმნა მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა. არსებითად შესუსტდა მსოფლიო კაპიტალიზმის პოზიციები. ყოფილი კოლონიების ადგილზე შეიქმნა ათობით ახალგაზრდა სახელმწიფო, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ იღაშქრებენ. განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა.

ამის შედეგად მსოფლიო ასპარეზზე ძალების განაწილება სულ სხვაგვარი გახდა. გაჩნდა ომის რეალური შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, უკვე მნიშვნელოვნად დაცხრა ასეთი ომის წარმოშობის საფრთხე, თუმცა ამ თვალსაზრისით ჩვენ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს, შეუპოვარი ბრძოლა მოგვიწევს.

ეყრდნობა რა მიღწეულს, ახლა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით წყვეტს ახალ ამოცანებს: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად თანდათანობითი გარდაქმნის, ადამიანთა კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებს.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა 1936 წლის შემდეგ. ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნის ძირითადი მიზეზები და წანამძღვრები.

II

ამხანაგებო, ახალი კონსტიტუციის პროექტი დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი გახლავთ. მას საფუძვლად დაედო პარტიის ზუსტი და კონკრეტული მითითებანი. სკკპ XXV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: „კონსტიტუციის ახალ პროექტში, როგორც ჩანს უნდა აისახოს სოციალიზმის დიდი გამარჯვებანი, აღინიშნოს არა მარტო სოციალისტური წყობილების ზოგადი პრინციპები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივ არსს, არამედ აგრეთვე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი თვისებებიც“. აღინიშნა აგრეთვე, რომ უნდა აისახოს სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის პრინციპები, სახელმწიფოს როლი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

პარტიის ეს პრინციპული დებულებანი პროექტში აისახა. პროექტზე მუშაობისას **ჩვენ მტკიცედ ვადექით მემკვიდრეობითობის ნიადაგს.** პროექტში შენარჩუნებული და განვითარებულია სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა დასახა.

ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკების პარტია იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ კონსტიტუცია არა მარტო იურიდიული აქტია, არამედ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტიც. პარტიას კონსტიტუცია მიაჩნდა რევოლუციის მონაპოვართა დამკვიდრებად და ამასთანავე სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანებისა და მიზნების გამოცხადებად.

ასეთი იყო ჩვენი პირველი 1918 წლის რუსეთის სფსრ კონსტიტუცია, რომელმაც დაამკვიდრა ოქტომბრის მონაპოვარნი და განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, კლასობრივი არსი.

ასეთი იყო 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციაც, რომელმაც საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პრინციპები განსაზღვრა.

1936 წლის კონსტიტუციამ კანონმდებლურად დაამკვიდრა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვება და ყოველივე ამას შეუსაბამა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მთელი სისტემა, აგრეთვე არჩევნების წესი. მაშინ შემუშავებულმა საზოგადოების განვითარების კონსტიტუციურმა ჩარჩოებმა გაუძლო დროის გამოცდას.

ახალ პროექტში დატოვებულია ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის ბევრი პრინციპული დებულება, ვინაიდან ისინი დღესაც შეესაბამებიან ჩვენი წყობილების არსს, ჩვენი განვითარების ხასიათს.

ამრიგად, ახალი კონსტიტუციის პროექტი, ერთი მხრივ, განაზოგადებს საბჭოთა ისტორიის მთელ კონსტიტუციურ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, ამდიდრებს ამ გამოცდილებას თანამედროვე ეპოქის მოთხოვნების შესაფერისი ახალი შინაარსით.

პროექტი ეყრდნობა აგრეთვე საბჭოთა კანონმდებლობის უკვე განხორციელებულ განახლებასა და სრულყოფას და თითქოს აგვირგვინებს იმას, რაც ამ მხრივ გაკეთდა.

არადა, უკანასკნელ წლებში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა. ძალაში შევიდა სამართლის მეტი წილი უმნიშვნელოვანესი დარგების საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლები და რესპუბლიკური კოდექსები. ჩვენ ახლა გვაქვს დებულებები სამრეწველო საწარმოსა და საწარმოო გაერთიანების შესახებ, კოლმეურნეობის ახალი წესდება. მიღებულია ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო, განათლების, საპენსიო უზრუნველყოფის, გარემო ბუნების დაცვის ახალი კანონები. ზუსტად არის განსაზღვრული ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობანი. მოწესრიგებულია დეპუტატთა სტატუსი. ყველა ეს საკანონმდებლო აქტი გათვალისწინებულია პროექტში და ეს აქტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, გახდა საშენი მასალა, რომლითაც არის აგებული ახალი კონსტიტუციის ბევრი მუხლი.

მოგახსენებთ კიდევ ერთ არსებითს მომენტს. პროექტის მომზადებისას **გამოვიყენეთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციური განვითარების გამოცდილება.** 70-იან წლებში ბულგარეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კუბამ და ზოგიერთმა სხვა სოციალისტურმა ქვეყანამ ახალი კონსტიტუციები მიიღეს. ამ კონსტიტუციებში არის ჩვენთვის საინტერესო მთელი რიგი დებულებები. უყურადღებოდ არც ისინი დაგვიტოვებია.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ახალი კონსტიტუცია მკვიდრ პრაქტიკულ და თეორიულ საძირკველზეა დაფუძნებული. პოლიტბიუროს აზრით, სწორედ ეს არის მისი სტაბილურობის, საბჭოთა საზოგადოების შემდგომ პროგრესზე მისი აქტიური ზემოქმედების საწინდარი.

III

ახლა კი მოგახსენებთ ახალი კონსტიტუციის პროექტის შინაარსის მთავარ ნიშანთვისებებს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში მოცემულია **კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ვრცელი დახასიათება,** მკაფიოდ არის ასახული ჩვენი პარტიის ნამდვილი როლი საბჭოთა საზოგადოებასა და სახელმწიფოში. 1936 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით ამის შესახებ უფრო ფართოდ, სპეციალურ მუხლშია ნათქვამი.

ახალი კონსტიტუციის პროექტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სსრ **კავშირში შეიქმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და რომ საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია კომუნიზმის აშენება** ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ **ჩვენი სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოა,** გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების ნებას და ინტერესებს. ამიტომ არის წინადადება, რომ ჩვენს საბჭოებს ეწოდოს **სახალხო დეპუტატთა საბჭოები.**

პროექტში დატოვებულია პრინციპული დებულება, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. ამასთანავე დასახულია ახალ კონსტიტუციაში შეტანილი ზოგიერთი დაზუსტება, რომელიც თვით ცხოვრებამ გვიკარნახა. ახლა საკუთრების სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ ფორმებთან ერთად დასახელებულია აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაც.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ **ამ სიახლის მთავარი მიმართულება, რომელსაც პროექტი შეიცავს, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავებაა.**

უწინარეს ყოვლისა, კიდევ უფრო განვითარდება საბჭოების ფორმირებისა და საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. გათვალისწინებულია გაძლიერდეს მათი როლი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, როგორც 106-ე მუხლშია ნათქვამი, უფლებამოსილია წყვეტდეს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებულ ყველა საკითხს. ადგილობრივი საბჭოები მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს კი არ წყვეტენ, არამედ თავიანთი უფლებების ფარგლებში კონტროლსა და კოორდინაციას უწევენ ყველა ორგანიზაციის საქმიანობას თავიანთ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით არის აღნიშნული იმ კონტროლის სისტემატური ხასიათი, რომელსაც საბჭოები უწევენ აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას.

უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადა იზრდება ხუთ წლამდე, ადგილობრივი საბჭოებისა — ორ წელიწად-ნახევრამდე. ასეთსავე ვადებში გაიმართება სასამართლოების არჩევნები.

პროექტში განსაზღვრულია მასებთან საბჭოებისა და მათი დეპუტატების ურთიერთობის განმტკიცების მთავარი გზები. ისინი ვალდებულნი არიან რეგულარულად აცნობდნენ მოსახლეობას თავიანთ საქმიანობას, ანგარიშს აბარებდნენ ამომრჩევლებს, გულდასმით განიხილავდნენ მშრომელთა ყოველ წინადადებას.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ხუთი წლის წინათ ჩვენში დიდნიშვნელოვანი კანონია მიღებული საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ. დეპუტატთა როლის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, ამ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებამოსილებანი ახლა შეტანილია კონსტიტუციის პროექტის ტექსტშიც.

ახალი მომენტი შეგვაქვს საარჩევნო სისტემაშიც. თუ ახლანდელი კონსტიტუციით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეული შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ პირები, რომლებსაც 23 წელი შეუსრულდათ, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში კი 21 წლის მოქალაქეები, ახლა გათვალისწინებულია ასეთი უფლება მიენიჭოს ყველა საბჭოთა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. ეს იმის რეალური გამოვლინებაა, რომ ჩვენი საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდობისათვის და ენდობა მას.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მიღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. შევარდნაძემ 4 ივნისს მიიღო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეგობრობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის წევრი, ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ინდრიხ პოლედნიკი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მოწვევით არის ჩამოსული.

მიღების დროს გაიმართა საუბარი, რომელშიც კეოლთბილ, გულთბილად ვითარებაში ჩაიარა.

ვ. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მეგობრობას და თანამშრომლობას მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ახალგაზრდებთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიელ ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შეხვედრები საქართველოს კომკავშირელებთან, ახალგაზრდებთან ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება და ხელს შეუწყობს მუშაობის გამოცდილების გაზიარებას, კონტაქტების გაფართოებას.

თქვენი ნამოსვლა, თქვა ვ. ა. შევარდნაძემ, დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას — პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ღვაწლოს სოციალისტური სისტემის ულაყო უპირატესობს. მას შეერეტ ძალებს, მის ჭეშმარიტ დემოკრატიზმს.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში ყოფნისას, თქვა ვ. ა. შევარდნაძემ, თქვენ თვალნათლივ დაინახეთ, რა მზრუნველ მოწონებითა და აღფრთოვანებით აღიქვამს საბჭოთა ადამიანებმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, რომლის მიღებაც, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება.

შეეხო რა რესპუბლიკის წარმატებებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმი, მისი გაზრდილი იდეური სიმწიფე, ლენინის ანდერძისა და ჩვენი პარტიის იდეალებისადმი ერთგულება.

დელეგაციის მეთაურმა ინდრიხ პოლედნიკმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს ახლრებს საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარნი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობით, აღნიშნა მან, ჩვენი ხალხები და სახელმწიფოები ერთიანდებიან და ამტკიცებენ ძმური მეგობრობის, ყოვლისმხრივი თანამშრომლობის კავშირს.

ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ალაპარაკა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის მონაწილეობაზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ვადამეტი რა ჩვენი ახალგაზრდობის წარმატებებს, თქვა ი. პოლედნიკმა. ჩვენ სიამაყით გამბობთ, რომ ეს წარმატებანი ლენინური კომკავშირის გამოცდილების გამოყენების, საბჭოთის კომკავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის მჭიდრო თანამეგობრობის შედეგია.

აღვნიშნავთ ჩვენს საბჭოთა მეგობრებს, რომ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი კლავდა ყოველ ღონის ძიებას ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობის ყოვლისმხრივი თანამშრომლობისა და დაახლოების შემდგომი პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის.

მიღებას დაესწრნენ სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვ. ვრიგორიევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ა. შარტავა, რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. დ. შუბლაძე.

ქართულ ენაზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოსცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის ტექსტი. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი კარლო რაჭველიშვილი ძე კალაძე დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

პროექტში ფართოდ აისახა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაციული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში. მათ უმკვიდრდებათ პოლიტიკური, სამეურნეო, სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ეს ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ საერთოსახალხო სახელმწიფო ითვალისწინებს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და ჯგუფის ინტერესებს.

კონსტიტუციის პროექტში შეტანილია აგრეთვე დებულება მშრომელთა კოლექტივების როლის შესახებ. ეს შეესაბამება ჩვენი პარტიის პრინციპულ გეზს. იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას ანიჭებს.

განვითარებული სოციალიზმის აშენება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად სრულვყოთ ძირითადი კანონის დებულებანი **საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა შესახებ.** „კომუნისტური მანიფესტის“ ცნობილი სიტყვები — „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“ — ფაქტიურად ჩვენი სახელმწიფოს ძირეული პრინციპი გახდა. და ეს დამკვიდრებულია პროექტით.

სპეციალურ ნაწილში ცხადდება საბჭოთა მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის ზოგადი პრინციპი. ამას გარდა, მთელი სიცხადით მკვიდრდება სოციალიზმის მონაპოვრები ისეთ დიდმნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც არის ქალის და მამაკაცის თანაბარ უფლებათა უზრუნველყოფა, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ეროვნული და რასობრივი კუთვნილების მიუხედავად.

ცნობილია, რომ ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაშიც გათვალისწინებულია ისეთ **სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ფართო კომპლექსი,** რომლებიც თვით ადამიანთა ცხოვრების საფუძვლებს შეეხება. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ გაღრმავდა მათი შინაარსი, რამდენად უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანია ახლა მათი განმამტკიცებელი მატერიალური გარანტიები. ყოველივე ეს აისახა ახალი კონსტიტუციის პროექტში. მაგალითად, თუ წინათ ლაპარაკი იყო შრომის უფლებაზე, ახლა ამას ემატება მოქალაქის მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადებისა და განათლების შესაბამისად პროფესიის, საქმიანობისა და მუშაობის არჩევის უფლება, აგრეთვე — რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს — გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მოთხოვნილებანიც.

შემდეგ, თუ 1936 წლის კონსტიტუციაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებაზე ლაპარაკია ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ახლა საკითხი უფრო ფართოდ ისმება: საბჭოთა ადამიანებისათვის გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება. თუ ზოგადად იყო ლაპარაკი განათლების უფლებაზე, ახლა საქმე შეეხება სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლებას, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარებას.

პროექტში აღნიშნულია საბჭოთა მოქალაქეების ისეთი უფლებაც, რომელიც არ არის ჩაწერილი ახლანდელ კონსტიტუციაში. მხედველობაში მაქვს ბინის უფლება, რომელიც სულ უფრო სრულად იქნება უზრუნველყოფილი საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე, აგრეთვე იმ გზით, რომ სახელმწიფო ხელს შეუწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას. ჩვენი ახალი კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი გამოაცხადებს ადამიანისათვის ამ საარსებო მნიშვნელობის უფლებას.

გაცილებით უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული პროექტში **სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებანი და თავისუფლებანი.**

ცხადდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში თითოეული საბჭოთა მოქალაქის მონაწილეობის უფლება და აღნიშნულია ასეთი მონაწილეობის კონკრეტული ფორმები.

სრულად არის დადასტურებული მოქმედ კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. პიროვნების უფლებათა კონსტიტუციური გარანტიების მნიშვნელოვანი დამატება იქნება მოქალაქეთა ის უფლება, რომ შეიტანონ წინადადებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, გააკრიტიკონ მუშაობის ნაკლოვანებანი, სასამართლოში გასაჩივრონ თანამდებობის პირთა მოქმედება, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ქონებისა და პირადი თავისუფლების, პატიოსნებისა და ღირსების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება და არ უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის ინტერესების საზიანოდ. ამიტომ პროექტში პირდაპირ არის ნათქვამი, მაგალითად, რომ მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება ზიანს არ უნდა აყენებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს, რომ პოლიტიკური თავისუფლებანი ენიჭებათ მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით.

საჭიროა თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ნათლად შეიგნოს, რომ საბოლოო ანგარიშით მისი უფლებების მთავარი გარანტია სამშობლოს ძლიერება და აყვავებაა. ამისათვის კი თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე. კეთილსინდისიერად იხდიდეს თავის ვალს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე.

ამიტომ კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოქალაქე ვალდებულია პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობდეს, იცავდეს სამშობლოს. პირველად ენიჭება კონსტიტუციური მოთხოვნისა და მოვალეობის ხასიათი იმას, რომ დავიცვათ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, ხელი შევუწყოთ მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. ყოველნაირად შევუწყოთ ხელი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ვებრძოლოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და განიავებას, გავუფრთხილდეთ ბუნებას და დავიცვათ მისი სიმდიდრე, ვიზრუნოთ კულტურულ ღირებულებათა დაცვისათვის. პროექტი ავალდებულებს აგრეთვე მოქალაქეებს იზრუნონ ბავშვების აღზრდისათვის, აღზარდონ ისინი სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

პროექტის სპეციალურ თავში **„სოციალური განვითარება და კულტურა“** ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნავს განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მოქალაქეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. მათი შემოსავლის დონის ამაღლებისათვის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდისა და სამართლიანი განაწილებისათვის. აქვე აღნიშნულია. რომ სახელმწიფო ხელს უწყობს კომუნიზმისაკენ ჩვენი გზის ისეთი უმნიშვნელოვანესი მიჯნების მიღწევას, როგორიც არის ქალაქსა და სოფელს შორის. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, არსებით განსხვავებათა მოსპობა, საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გადიდება.

ახალი კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ აისახა აგრეთვე **სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება.**

ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ცალკეულ წლებს დაღი დაასვა უკანონო რეპრესიებმა, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების. პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევამ. ეს ხდებოდა კონსტიტუციურ დებულებათა საწინააღმდეგოდ. პარტიამ გადაჭრით დაგმო ასეთი პრაქტიკა, და ეს აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს.

ცნობილია, თუ რა დიდი მუშაობა გასწიეს ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და საბჭოთა მთავრობამ საბჭოთა კანონების დასახვეწად, მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარ დარღვევათა წინააღმდეგ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ მტკიცე გარანტიების შესაქმნელად. პროექტი თითქოს აზოგადებს ყველა ამ გარანტიას და ხაზს უსვამს, რომ კონსტიტუციისა და კანონების დაცვა სახელმწიფოს ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქის მოვალეობა ხდება.

ამხანაგებო! **საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა.** გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სსრ კავშირის ფედერაციული წყობილების ძირითადმა თვისებებმა მთლიანად გაამართლა თავიანთი დანიშნულება. ამიტომ საჭირო არ არის რაიმე პრინციპული ცვლილებების შეტანა საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის ფორმებში.

პროექტში, ისევე როგორც 1936 წლის კონსტიტუციაში, აღნიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი. რჩება ამ უფლებათა გარანტიებიც. უფრო მეტიც, მათ ემატება ახალი, ისეთი უფლებები, როგორიც არის საკავშირო ორგანოების მიერ სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ეადაწყვეტაში რესპუბლიკების მონაწილეობის უფლება. მოკავშირე რესპუბლიკებს, მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით უმკვიდრდებათ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მეორე მხრივ, სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა სულ უფრო პროგრესული დაახლოება გვიკარნახებს, რომ საჭიროა, განმტკიცდეს სახელმწიფოს საკავშირო საწყისები. ეს აისახა თვით სსრ კავშირის როგორც ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს განსაზღვრაშიც (მუხლი 69). საერთო-საკავშირო საწყისების განმტკიცება აისახა პროექტის ზოგიერთ სხვა დებულებაშიც.

საერთოდ ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხების გადაწყვეტა პროექტში უზრუნველყოფს მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესისა და მისი წარმომქმნელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას.

პროექტი ასახავს **ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპს.** პროექტში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ეკონომიკა გადაიქცა ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსად, რომელიც მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს.

დამკვიდრდა სოციალისტური ეკონომიკის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საწყისიც, როგორიც არის გეგმიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამება საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან.

კონსტიტუციის პროექტში დაზუსტებულია ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებამოსილებანი. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით პროექტში არ არის ჩამოთვლილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები. ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მათი შემადგენლობა დროდადრო იცვლება და ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგიჩნიეთ მოვათავსოთ მათი ნუსხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ სპეციალურ კანონში, რომლის მიღებაც გათვალისწინებულია კონსტიტუციის პროექტის 135-ე მუხლით.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარი ძირეული ცვლილებების, მსოფლიო პოლიტიკაში მისი გაელენის უდიდესი ზრდის, ჩვენი განვითარების საშინაო და საგარეო ფაქტორების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო საჭირო გახდა კონსტიტუციის პროექტში შესულიყო **სპეციალური თავი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.** ასეთი თავი კონსტიტუციაში პირველად არის შეტანილი.

იქ ნათქვამია, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ადგას მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, იღწვის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების ხელშეწყობი საერთაშორისო პირობების უზრუნველყოფა, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა, აგრესიული ომების თავიდან აცილება და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება. კონსტიტუციაში პირველად იქნება მკაფიოდ ნათქვამი, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილია, იგი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ავითარებს და განამტკიცებს შეგობრობას, თანამშრომლობასა და ამხანაგურ ურთიერთდახმარებას სოციალიზმის ქვეყნებთან.

პირველად არის შეტანილი სპეციალური **თავიც სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ.** ამას გარდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეროგატივებს შორის გათვალისწინებულია ქვეყნის თავდაცვის საბჭოს შექმნა და მისი შემადგენლობის დამტკიცება.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შინაარსის დამახასიათებელი მთავარი მომენტები.

IV

ახლა ნება მიბოძეთ შევეხო ამოცანებს, რომლებიც ჩვენ წინაშე დადგება ახალი კონსტიტუციის განხორციელებასთან დაკავშირებით, შევეხო იმ მნიშვნელობას, რომელიც მის მიღებას ექნება ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალიზმის, პშვიდობისა და პროგრესის ძალების პოზიციების განმტკიცებისათვის.

ჯერ შევეხები **ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობას ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის.**

მისი დებულებების რეალიზაციამ თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს მთელი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობა, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მთელი მუშაობა.

საქმე შეეხება უწინარეს ყოვლისა არჩევითი ორგანოების — საბჭოების ფართო უფლებამოსილების სულ უფრო ეფექტიან განხორციელებას. სრულად უნდა გამოვიყენოთ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც აქვს დეპუტატთა — მოსახლეობის ყველა ფენას, ყველა პროფესიის, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ორმილიონიან არმიას. საბჭოთა ხელისუფლების ეს მძლავრი კოლექტიური ტვინი წყვეტს და კვლავაც გადაწყვეტს სულ უფრო რთულ და მრავალფეროვან ამოცანებს. მას შეუძლია და კიდევაც უნდა გაუწიოს ყველაზე ქმედითი კონტროლი ყველა საფეხურის აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას.

ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი კანონმდებლობის დარგში. კონსტიტუციის ბაზაზე უნდა შევიმუშაოთ საკავშირო კანონები არჩევნების შესახებ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, კანონი მინისტრთა საბჭოს შესახებ, მოვაწესრიგოთ სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებამოსილება. დაუყოვნებლივ უნდა შევიმუშაოთ და დავამტკიცოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია დაედება საფუძვლად საბჭოთა სახელმწიფოს კანონების კრებულს, რომლის შედგენა დაიწყო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ამავე დროს ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესოს ყველა ორგანოს მუშაობა, რომლებსაც ეკისრებათ ზუსტად დაიცვან საბჭოთა კანონების მოთხოვნები. მე მხედველობაში მაქვს პროკურატურა, სასამართლო, არბიტრაჟი, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, სახალხო კონტროლი. პარტია მოელის, რომ ყველა ეს ორგანო კიდევ მეტ ინიციატივას, პრინციპულობას და შეურიგებლობას გამოიჩენს საბჭოთა მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროექტში მოცემულია სოციალისტური მეურნეობის მთელი სისტემის ეკონომიკისა და კულტურის მართვის საგეგმო დასხვა ორგანოების მთელი მუშაობის განუწყვეტელი სრულყოფის შესაძლებლობანი. მათი ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია კონსტიტუციაში. ეს ფუნქციები მთლიანად და ზუსტად უნდა სრულდებოდეს, რათა გაიზარდოს თითოეული ორგანოს, თითოეული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა.

ყველა საფეხურის საბჭოებიც, მთავრობაც, სამინისტროებიც და უწყებებიც, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიც დღენიადაგ უნდა უდარებდნენ თავიანთ მუშაობას კონსტიტუციის მოთხოვნებს. თვით პარტიული ორგანოებიც უფრო მკაცრად უნდა სთხოვდნენ პასუხს კომუნისტებს — სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს იმისათვის, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობებს.

ახალი კონსტიტუციის განხორციელება მილიონობით საბჭოთა ადამიანს შესაძლებლობას მისცემს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობისადმი კონტროლის საქმეში.

ეკონომიკის მართვის ცენტრალიზმი აუცილებელი და კანონზომიერია. მაგრამ ასევე აუცილებელია ჩვენი მეურნეობის განვითარების მთელი მრავალფეროვანი პირობების გულმოდგინე აღრიცხვა. ეს კი შეუძლებელია, თუ კვლავაც არ გავზარდეთ საწარმოო კოლექტივების ინიციატივა, თუ თვით მშრომელებმა აქტიური, მე ვიტყოდი, ბატონპატრონული მონაწილეობა არ მიიღეს მართვაში. დემოკრატია სოციალიზმის პირობებში კვლავინდებურად ეკონომიკის, საზოგადოების, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია.

ამრიგად, კონსტიტუციაში უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალია ჩაქსოვილი. და იგი შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ. „... საბჭოთა კონსტიტუცია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ემსახურება და მუდამ მოემსახურება მშრომელებს და სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღია“. დღეს ვლადიმერ ილიას ძე დასძენდა: და კომუნიზმის მშენებლობის იარაღიაო.

უეჭველია, ამხანაგებო, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის, მშენებარე კომუნიზმის კონსტიტუციის მიღება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული მოვლენა, არამედ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაც იქნება. მისი ხორცშესხმა ღრმა და ხანგრძლივ გავლენას მოახდენს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

ჩვენი ახალი კონსტიტუცია თვალსაჩინოდ დაანახვებს მთელ მსოფლიოს, თუ როგორ ვითარდება სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სულ უფრო მტკიცედ და ღრმად ამკვიდრებს სოციალისტურ დემოკრატიას, თვალსაჩინოდ დაანახვებს, როგორია იგი, ეს სოციალისტური დემოკრატია, რა არის მისი არსი. ჩვენი კონსტიტუცია ცხადყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში ხალხთა ფართო მასების დღენიადაგ მზარდი რეალური მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებსა და უდიდეს გაქანებას, რაც უცხოა ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის, სადაც მართვა-გამგეობა სინამდვილეში მხოლოდ კაპიტალისტთა მცირერიცხოვანი კლასის ხელთ არის.

როცა ჩვენს ახალ კონსტიტუციას წაიკითხავენ, ადამიანები კიდევ უფრო ნათლად დაინახავენ, თუ რაოდენ **ფართო და მრავალფეროვანია სოციალისტური საზოგადოების** მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. მის დებულებებში მსოფლიო დაინახავს სახელმწიფოს, რომელსაც თავის მიზნად დაუსახავს მთელი ხალხის, მისი უკლებლივ ყველა კლასისა და ჯგუფის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლება, და აქტიურად მუშაობს ამ მიზნის მისაღწევად.

დაბოლოს, ჩვენი ახალი კონსტიტუცია დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის პირველმა სახელმწიფომ თავის დროშაზე სამუდამოდ წააწერა სიტყვა „მშვიდობა“, როგორც საკუთარი ხალხისა და პლანეტის ყველა სხვა ხალხის ინტერესების შესაბამისი თავისი საგარეო პოლიტიკის უზენაესი პრინციპი.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია უდავოდ გაამდიდრებს მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილების საერთო საგანძურს.

გამარჯვებული სოციალიზმის მიღწევები, რომლებიც მასში კონცენტრირებულად იქნება ასახული, შთამაგონებელ მაგალითს მისცემს იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ აირჩიეს სოციალისტური განვითარების გზა.

ეს მიღწევები რწმენას შემატებს კაპიტალის ქვეყნების მშრომელთა მასებს, რომლებიც თავიანთი უფლებების დაცვისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ჩაგვრისაგან ხსნისათვის იბრძვიან.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ბურჟუაზიული და რევიზიონისტული პროპაგანდით დამახინჯებულ და გაუხამსებულ განმარტებას ჩვენ ვუპირისპირებთ სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის უფლებისა და მოვალეობების ყველაზე სრულ და რეალურ კომპლექსს. ჩვენ ისტორიის სასწორზე ვდებთ მშრომელთა ნამდვილად ეპოქალურ მონაპოვრებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის ძალაუფლების მეოხებით არის მიღწეული.

V

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აზრით, პლენუმის მიერ მოწონებული ახალი კონსტიტუციის პროექტი, როგორც ეს პარტიის „XXV ყრილობაზე ითქვა, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის უნდა იქნეს გამოტანილი. ეს ნიშნავს, რომ **ჩვენ დიდი გაქანებისა და მნიშვნელობის მუშაობა მოგველის.**

საბჭოთა ხალხის განსახილველად გამოტანილი იქნება დოკუმენტი, რომელშიც აისახება რევოლუციის ძირითადი მონაპოვარი, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში ჩვენ მიერ გამოვლილი გზა. ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადება და ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა ორგანულად დაკავშირებული ღონისძიებანია, რომლებიც ერთმანეთს ავსებს.

ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — **უზრუნველვყოთ კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და ნამდვილად საქმიანი განხილვა,** ჩავაბათ ამ საქმეში მშრომელთა მასები. მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, გამოვიყენოთ ამისათვის ჩვენში დამკვიდრებული საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმები.

საჭიროა აგრეთვე შეიქმნას იმ შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის მწყობრი მექანიზმი, რომლებიც ყველა არხით მოგვივა მშრომელებისაგან.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონსტიტუციის პროექტის მასობრივი განხილვის დროს მშრომელთა მხედველობის არეში აღმოჩნდება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის პრაქტიკული საქმიანობაც. საქმე შეეხება აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ხალხს აწუხებს, გადაუწყვეტელ ამოცანებს, მუშაობის ამა თუ იმ ნაკლოვანებებს. ამისათვის მზად უნდა ვიყოთ. ოპერატიულად და კონკრეტულად უნდა გამოვეხმაუროთ კრიტიკას და წინადადებებს, ყველაფერი ვიღონოთ საქმის მდგომარეობის გამოსასწორებლად იქ, სადაც ეს საჭიროა.

ჩვენ ახალი კონსტიტუციის განხილვას ვიწყებთ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით დაძაბულად მუშაობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. საყოველთაო-სახალხო განხილვა ხელს შეუწყობს **ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებას.** მან ხალხში უნდა გამოაღვიძოს ახალი შემოქმედებითი ძალები, მიანიჭოს სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი გაქანება, აამაღლოს თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

პარტიული ორგანიზაციები და პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ კონსტიტუციის განხილვის ფართო გაშლას, მიანიჭონ მას ზუსტი და მკაფიო პოლიტიკური მიმართულება. თუ ისინი ყოველივე ამას მიაღწევენ, ეს, უეჭველად, გააუმჯობესებს წლევანდელი წლის — ახალი კონსტიტუციის მიღებისა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წლის — პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა საბჭოების ღვიძლი საქმეა. ამ მუშაობის ორგანიზაციის დროს მათ პრაქტიკულად ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობა უნდა მოიცვან. ახლა ყველა რესპუბლიკაში ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ეს უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. შეიძლება სასარგებლოც იყოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა ახლად არჩეული ადგილობრივი საბჭოების სესიაზე.

ჩვენ მოველით, რომ ახალი კონსტიტუციის განხილვაში აქტიურად ჩაებმებიან ჩვენი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა — პროფკავშირები და კომკავშირი, შემოქმედებითი კავშირები და ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებანი.

განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უნარიანად და საინტერესოდ უნდა გააშუქონ განხილვის მიმდინარეობა, პატივი სცეს და ყურად იღონ მშრომელთა აზრი.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო. ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა ყველა ჩვენი ორგანიზაციისა და მთელი ჩვენი კადრებისათვის უპირველესი მნიშვნელობის საქმე უნდა გახდეს.

ჩემი სიტყვის დასასრულს მინდა, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. იგი ჩვენი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი გახდება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და ამასთანავე თავისუფლების, კაცობრიობის პროგრესის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გამართა ხალხმრავალი მიტინგები. საქართველოს მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან და იწონეებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელშიც აისახა სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი თვისებები, სახელმწიფოს როლი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

„კომუნისტი“ სწორედ ამის შესახებ მოუთხრობს დღეს გაზეთის ამ გვერდზე.

ქვეყნის გედი — ქარხნის გედი

ქალაქის ყოფილ გარეუბანში, ლოკომოტივების შემკეთებელი საწარმოს ადგილზე ორი ათწლეულის წინ შექმნილი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმოება, გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაური საწარმო გახდა. მძლავრი თანამედროვე ლოკომოტივების შენება აქ დაიწყეს მუშათა კოლექტივის ინიციატივით, რომელსაც სწამდა თავისი ძალებისა. ახლა „თემჩ-“ის მარკიან პროდუქციას — სამგზავრო და სამრეწველო ელმავლებს, ელექტროშტაბელერებს მთელი ქვეყანა იცნობს.

გინა ეს არ არის მუშათა კლასის ინიციატივის, ეკონომიკის მართვაში მისი მონაწილეობის უფლების, ჩვენი სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და საწარმოო-გაერთიანებათა დამოუკიდებლობის შესამჩნევ ნაყოფი გამოვლინება? — თქვა საწარმოს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ინჟინერმა შ. ნიკოლაიშვილმა მიტინგზე, რომელიც 4 ივნისს გაიმართა თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. — ჩვენ, — თქვა მიტინგზე ქარხნის აპარატმა ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ასათიანმა, უდიდესი ინტერესით ველოდით ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას. მასში ასახულია ის უდიდესი ცვლილებები, რომლებიც საბჭოეთში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დღიდან განვლილი ოთხი ათეული წლის მანძილზე. დიდი ცვლილებები მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქარხანაშიც. ქარხნის მაკორორიოლში ამწყდა თანამედროვე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კორპუსები. ავიაქარხნელთა ასამდე ოჯახი ზეიმობს ყოველწლიურად ახალი ბინის მიღებას.

ტრიბუნაზე ადიან ამწყობი ზეინკალი, რუსეთის ტერიტორიის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ბარიგინი, სამკროს უფროსი დ. ბობოხიძე, ბარატი, ქარხნის დამრიგებელთა ვითარებული სოციალიზმის საზოგადოების პროგრესის პროცესები, რომლებმაც მკაფიო გამოხატულება პპოვეს ახალი კონსტიტუციის პროექტში, მკაფიოდ ჩანს ჩვენი ქარხნის ისტორიის, მისი კოლექტივის ბედის, საწარმოს თითოეული მუშაკის ბიოგრაფიის მაგალითით.

მიტინგის მონაწილენი მხურვალედ იწონებენ კონსტიტუციის პროექტს, მადლობას უთვლიან კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტსა და მის მეთაურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს სამშობლოს აყვავებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის. მიტინგის მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალული იყო დიდი სიამაყით განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის ქვეყნის მიღწევებისათვის, იმისათვის, რომ ძირითადი კანონის პროექტში საბჭოთა სახელმწიფოს ჟზნიის მიზნად არის გამოცხადებული კომუნიზმის აშენება.

მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა კონსტიტუციის პროექტი. იკისრეს ვალდებულება წლიური გეგმის დამატებით დაამზადონ თითო სამგზავრო და სამრეწველო ელმავალი.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილი საერთო-საქარხნო მიტინგი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ერთსულოვნად ვიწონეებთ

ხალხით არის გაჭედილი თბილისის დიმიტროვის სახელობის საგაიაო კინოთეატრი. აქ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილ საერთო-სახალხო მიტინგზე შეკრებილნენ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს მრავალათასიანი ელოქტიკის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ლომიძემ. მან თქვა, რომ ავიაშენებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური მდივნის, სკკ ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის“ — ამბობენ ეს ადამიანები, — ჩვენ ბედნიერნი ვართ, ამ ისტორიულ დოკუმენტში ასახულ ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინიციატივებს, ეროვნულ-ეკონომიკურ ინიციატივებს, ეროვნულ-ეკონომიკურ ინიციატივებს, ეროვნულ-ეკონომიკურ

მაპეულიშვილის ლვაწლი

ლევან გოთუას დაბადების 70-ე წლისთავის გამო



ლევან გოთუას ეს სურათი 1962 წელს არის გადაღებული. მისი ავტორია გურამ თინაანაძე.

მძლე ერისკაცი, სულით რაინდი, სიტყვის ჯადოსანი მიისგები, მწერალი, ვინც გვერდით ედგა თავის თანამედროვეთ და დავიწყების ძდინარეს გამოსტაცა ბევრი სახელი, აღადგინა მივიწყებულ ძამულისთვის თავი გადაღებული ამბები, ერის ერთიანობისა და ვარკაცური შეძართების ჰიმნოგრაფი, — აიეთად წარითოგვიდგება ჩვენ მწერალი და საბოგადო ძოლვაწე ლევან გოთუა.

ჩემი სურვილია, — ამბობდა იგი, — თანამედროვეთ ვეუჩვენოთ, რომ ჩვენმა ქვეყანაა და აიღხმა ისტორიის ქაოტეთილებში, სისხლის წვიმების დროს, დიდი განსაცდელი გამოიარა და გადაიტანა. იევრჯერ მდგარა ყოფა-არყოფნის ზღვაზე, სამინელი სამყუხარო ამბები გადაუდგ თავს, ძაგრან სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ყოფი არ გაძტყდარა. იავარქმნილი, გაკარტახებული, ფერფლადქცეული ქვეყანა ამიც გადარჩა, ადეთილდა, დაიყვავილა, იძარა, აღორძინდა და დღეს წელგამართული შეურყევლად დგას. ძნელიედობის ამბეთის გაცოცხლეა-წართიჩენა და ჩვენება კი იმიტოთ მწადია, რომ მარიალი სურათეთის ხატოვანი ასახვა ჩემს ხალს ჩაუნერგოს უკვლავების ოწოანას, დაეწყვეს სასიცოცხლო სახეტარო ხელტარს, აღასინეს სიცოცხლის, ბეჭნეთია და გადაჯვების ითეთან.

როს მოკურუხებული ცის თავანზე ოვალისმიმეოელად ეელვებს, ჩვენ მოველთ, ოომ ამას თაი დიდი ბეკეაქუნიანი, თქვენი, ნიაღვარი და ღვაოცოფა მოქეკვა. ასევე დიდ ქაოტეთილებს ცოოვრებაში, მაპარანოიელთა ველ ეე, თან სდევს ძლიერი ბასიათის ადამიანთა ყაიმორეთა, დიდი მსხვერპლი, დიდი თავდადეთ და დიდი თაგგანწირვა. საკიროა მხოლოდ ამ დიდ ქარტეთილეს თავისი საფერი დიდი ეამთაალყეერლები ქყავდეს. ქვეყანად ბევრი ითაუ უფრო დიდი ოიეთი ითმიდარა, ვიდრე ტროას ომი ყოო. ილიოზეე უფრო დიდი ქალაქები დაულამქოავთ, აუეიათ და ფერფლად და მტვრად უქცევიათ, მაგრამ ტროელთა თავგადაკლულ თავდაცვითსა და ბერეეი ოოლაიეოეთა ეეტეეგთ ბრთოლებს უკვდავი და უჭკოოთი ძეგლი ჰომეოოსეი ეიტყვაია და ფუნჯეა აუგო.

დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის გაძართული, სამკვლოო-სასიცოცხლო, სისხლიანი ბრთოლების ამეეი ბევრ მწერალს აქვს ყალმოთ ნახატი, მაგრამ იმ ხაწერეთში ჩვენ, გარდა ბრძოლების მართალი სურათეთისა, მწეროლს პოზიციაც უნდა გულისხმაყოო. ჰომეროსმა სათაადდოდ ძეამკო თანამეშამულე ბერძენ ბოლამერეთა გმირული ბეძართეეა, ხერიიაოოია, გერგილიანობა, ხიმანკლობა, ღვარდ ძიმდინარე სისხლია, ხოცვა-ეულეტისა და რბევა-აწიოკების ამეიებს აგვიწერს დიდი პოლოონეეი მწერალი ჟერნიკ სეხკეეიანც თავის სქელტახნან წიგნეეში, ძაგრამ ხისი, ოოგორც ძლეეული და ოძისაგან გაჩანაგეეული ხალიის ეეოლის ჰოოიცია სულ სხვაგვარია: მისი ქმნილებები ბოლოსელი ხალხის სიმტკიცეეს, ბეუპოვროოას, თავისუფლების ამაყ და უკვდავ სულს უმღეოის გმირულ საგალობლეაა. ერთსა და იმავე ირძოლებს აგვიწერენ სპარსელი ისკანდეო მუნიი და ლევან გოთუა. ისკანდეო ბუნიის მიერ ქოთანს ისე აქვა ყური შემეული, თითქოს ყიზილაამთ ქართველება მისდიმოდნენ საკუთარ ბაძულაი და ამთა რბევა-აწიოკება მოეწყოთ. იგი საქართველოს „ბილეთის სამყაოს“ ეძახის და რელიგიეეი ფანატიზმით შეპყრობილი კაციჭამიის სიამოვნებით წერს:

„ყიზილბაშები გარეგნულად, ვითოო ბასაეირხებლად და ახადიროდ ყარაბაღისაკენ დაიძრნენ და იქიდან მხნე და გაძოცდილი გულადების რაზმებით საქართველოს ეეეესივნენ. ერთ ღამეს, რომელიც უფრო ბნელი იყო, ვიდრე ბნელი გულები ეკვიოოის დროის ხალხისა, ქალაქ თბილისს თავს დაესხნენ და უოწეუნთოა იმ ბნელეთის საძყაოოში რბევის, ხოცვის და ძარცვის ცეცხლი დაანთეს. ძათი ბამაკაცეეი ელვაოე ბმლის ღუმა გახდნენ და ქალები და ბავშეეთი ძლევისხიშხიახძა ღაზიებმა ტყვედ წაიოიყვანეს“... „საღვთო ომიი ეერძოლები ძაძაცურად ტევრებსა და ტყეეეში შეიჭრნეი, ჯგუფ-ჯგუფად იგდეიდაენ ხელმი ქართველებს და შეუბოალეეელი ხმლით ხოცავდნენ, ითოს ცოლებს და შვილებს ატყვეეეებდნენ და უოიცხვ საქონელს და ითმიდრეეს ბოოლობდნენ“. ისკანდერ მუნიი სპარსელთა გამოოაშერეთას ჩვენზე საბართველან განხრახვასა და სასაართლიან ომს ეძახის. აი, ასეთი მტრის ბირისპირ ყოფნა არგუნა ბედად განგებამ ქართველობას საუკუეეთა განძავლობაში.

არსებობის შესანარჩუნებლად ჩვენი წინაპრები უმთავრესად თავდაცვით ბრძოლებს ეუოდეეეა. ამავე დროს საქართველო ძინოგანი ძათამკვლელი ომებითა და ბრძოლებით დაუუტბეული ქვეყანა იყო. ხშირი იყო ღალატეეა და დასმეეაც, განდგომაცა და ზურგში მახვილის დაცემაც, არ იყო ერთ პირზე დგომა. ამის თაობაზე კარგად შეეიშნა დავით გურამიშვილმა, ერთთა აღმა ხსულს ძეორენი დაღმა ფარცხავდნენთ. საქართველოს ერთიანან სხეულს ნიადაგ ეეეწყნდეეე